სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080127372114121

№ 3960

13 / დეკემბერი / 2021 წ.

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2021 წლის 13 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT210021618, NAT210023320, NAT210023000, NAT210023116, NAT210022836, NAT210022694, NAT210023164, NAT210023166, NAT210023371, NAT210023144, NAT210023209, NAT210022960, NAT210022722, NAT210022805, NAT210023109, NAT210022921, NAT210022851, NAT210022895, NAT210022886, NAT210022920, NAT210023150, NAT210023141, NAT210023137, NAT210023197, NAT210023284 და NAT210022966 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო SPA210003230, SPA210003220, SPA210003291, SPA210003207, SPA210003269, SPA210003303 და SPA210003254 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ“ (SPA210003230 და SPA210003269), შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ (SPA210003220), სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტომ“ (SPA210003291), სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა“ (SPA210003207), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (NAT210021618 და NAT210022836), საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (NAT210023320), სსიპ „ბათუმის ბულვარმა“ (NAT210023000), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა (NAT210023116), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT210022694), საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (NAT210023164 და NAT210023166), სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ (NAT210023371 და NAT210022960), სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა (NAT210023144), სსიპ „გარემოს ეროვნულმა სააგენტომ“ (NAT210023209), სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ (NAT210022722), მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT210022805), ააიპ „გარდაბანსერვისმა“ (SPA210003303), სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა“ (NAT210023109 და NAT210022920), შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ (NAT210022921 და NAT210023141), შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (NAT210022851), საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (NAT210022895), სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულმა ცენტრმა“ (SPA210003254), სსიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს საჯარო სკოლამ“ (NAT210022886), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT210023150), სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ (NAT210023137), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ

(NAT210023197), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT210023284) და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ (NAT210022966) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე